## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
## ხელშეკრულების
## №2/29

ქ. თბილისი, 27 ივნისი 2016 წელი

ერთი მხრივ, შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის სერვისული კომპანია" (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ზაქარია საყდარაშვილის სახით და მეორე მხრივ სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი "დელტა" (შემდგომში მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის შოთა ქვარაცხელიას სახით შემდგომში ერთობლივად მოხსენიებული როგორც "მხარეები" და ცალ-ცალკე როგორც "მხარე", ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

საწარმოო ფეთქი მასალისა და აქსესუარების განადგურების (უტილიზაცია) მომსახურების შესყიდვა (CPV90523100 – მომსახურებები იარაღისა და საბრძოლო მასალების უტილიზაციის სფეროში) მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურება 12 800 (თორმეტი ათას რვაასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში (მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს).

### 1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

1.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

1.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი ტექნიკური კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

1.3 ამ მუხლის არცერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

1.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ტექნიკური სამსახურის უფროსი ავთანდილ ფრუიძე.

### 2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

2.1. მომსახურების გაწევა განხორციელდება მიმწოდებლის მიერ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წინასწარი მოთხოვნის შესაბამისად.

2.2. შემსყიდველი ვალდებულია და იღებს პასუხისმგებლობას უზრუნველყოს დანართში №1 მოცემული ვადაგასული ფეთქი მასალებისა და აქსესუარების ტრანსპორტირება „მიმწოდებლის" საკუთრებაში არსებულ სასაწყობო მეურნეობაში (მდებარე თბილისი ფონიჭალა გიგანტების დასახლებაში).

2.3. შემსყიდველი ვალდებულია და იღებს პასუხისმგებლობას უზრუნველყოს დანართში №1 მოცემული ვადაგასული ფეთქი მასალებისა და აქსესუარების ტრანსპორტირება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

2.4 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მოთხოვნის შესაბამისად დაუყოვნებლივ უზრუნველყოს დანართში ჩამოთვლილი საწარმოო ფეთქი მასალისა და აქსესუარების მიღება საკუთარ სასაწყობო მეურნეობაში (მდებარე თბილისი ფონიჭალა გიგანტების დასახლებაში), შემდგომში საკუთარი ხარჯებით მათი გასანადგურებლად, 3 კალენდალური თვის განმავლობაში (ტვირთის მიღებიდან).

### 3. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

3.1 შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება განხორციელდება ორ ეტაპად;

ტვირთის ჩაბარების (გადაცემის) დროს ფორმდება მიღება–ჩაბარების აქტი ტვირთის გადაცემასთან დაკავშირებით, რაზეც ხელს აწერენ ორივე მხარის უფლებამოსილი პირები.

- მომსახურების (განადგურება–უტილიზაცია) გაწევის შემდეგ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი სამუშაოს (მომსახურების) დასრულების შესახებ, რაზეც ხელს აწერენ ორივე მხარის უფლებამოსილი პირები.

3.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

## 4. ანგარიშსწორება

4.1 ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო.
4.2 შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად მიმწოდებლის მიერ დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.
4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება ლარებში.

## 5. ფასები

5.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.
5.2 ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.
5.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.
5.4 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
5.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ის ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

## 6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
6.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელის მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
6.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7. უფლებების გადაცემა

7.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე მხარეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს თავის ვალდებულებებს, ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში, შემსყიდველი წერილობითი ფორმით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
8.2 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მაშინ მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის 0,15 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ისა.
8.3. შემსყიდველის მიერ ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს გადაუხადოს პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის 0,15 %-ის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ისა.

9. ფორს-მაჟორი

9.1.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
9.1.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.1.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტისირგვლივ.
10.2 თუ ასეთი მოლაპ5რაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

## 11. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

11.1 მიმწოდებელი იძლევა ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.
11.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

## 12. გამოყენებული სამართალი

12.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

## 13. ხელშეკრულების ენა

13.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

## 14. გადასახადები და დაბეგვრა

14.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებელების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.
14.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

## 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 2016 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.

## 16. სხვა პირობები

16.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
16.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ სახელით, ხარჯებითა და რისკით.
16.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
16.4 მისამართის ან მომსახურე ბანკის რეკვიზიტების შეცვლის შემთხვევაში მხარეები ვალდებულნი არიან 15 დღის განმავლობაში აცნობონ ერთმანეთს ამის შესახებ.
16.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## 17. ᲛᲮᲐᲠᲔᲗᲐ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲠᲔᲙᲕᲘᲖᲘᲢᲔᲑᲘ

შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის სერვისული კომპანია"
ქ.თბილისი ჭირნახულის ქ.№16
ს/კ206339924; ს.ს. „ბანკი რესპუბლიკა"
ბ.კ. **REPLGE22**;
ა/№**GE53BR0000010586036944**

გენერალური დირექტორი

ზაქარია სადაღაშვილი

სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი "დელტა"

ქ. თბილისი, მნათობის ქ. #73
საიდენტიფიკაციო კოდი № 202297335
მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში:
მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა;
ბანკის კოდი - TRESGE22;
მიმღების ანგარიში /სახაზინო კოდი 707297519

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

[illegible]

დანართი №1

შპს"საქართველოს ნავთობისა და გაზის სერვისული კომპანიის" კუთვნილ ფეთქ მასალების საწყობში არსებული გასანადგურებელი ფეთქ მასალები

| № | დასახელება/სპეციფიკაცია | საზომი ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1 | HEPF PERFORATOR CHARGE DP36RDX-3 | PC | 2715 |
| 2 | HEPF PERFORATOR CHARGE DP44RDX-3 | PC | 1840 |
| 3 | HEPF PERFORATOR CHARGE IMD-3 | PC | 131 |
| 4 | FRACTURE MATERIAL | KG | 905.97 |
| 5 | DETONATOR FZ-1 | SET | 22 |
| 6 | DETONATOR YB-1 | SET | 22 |
| 7 | BOOSTER OBZ4-1/4-OC | PC | 852 |
| 8 | BLASTING CAP CL-CW180-1 | PC | 27 |
| 9 | PRIMER CORD 5,3 IS | MT | 1162 |
| 10 | დშუ-33 | გრძივი მეტრი | 31 |
| 11 | დშე | მეტრი | 599 |
| 12 | პოვერჯელმაგნიუმი365(38*225) | კგ | 141 |
| 13 | პოვერჯელმაგნიუმი365(38*40) | კგ | 372 |
| 14 | detcord 80 hmx nylon is 1,4 s "air pack 500" | ფუტი | 109.3 |
| 15 | ელექტრო დეტონატორი სეისმიკი | ცალი | 867 |

შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის სერვისული კომპანია"
ქ.თბილისი ჭირნახულის ქ№16
ს/კ206339924; ს.ს. „ბანკი რესპუბლიკა"
ბ.კ. REPLGE22;
ა/№GE53BR0000010586036944

გენერალური დირექტორი

ზაქარია ხადალაშვილი

სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი "დელტა"

ქ. თბილისი, მნათობის ქ. #73
საიდენტიფიკაციო კოდი № 202297335
მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში:
მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა;
ბანკის კოდი - TRESGE22;
მიმღების ანგარიში /სახაზინო კოდი 707297519

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

[illegible]